საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1581
10/05/2022

1581-21-2-202205101144

შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორეიშნს“
ელ.ფოსტა: g.margebadze@unienergy.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №7637 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვაკიჯვრის „ნატანები-3“ ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

როგორც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმდინარე წლის 22 მარტის №2788/01 წერილით გეცნობათ, სკრინინგის განცხადებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 დეკემბრის დადგენილების მოთხოვნები.

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, საპროექტო სანაყაროს ტანი მდ. ნატანებიდან დაშორებული იქნება არანაკლებ 30 მეტრით, თუმცა, სკრინინგის განცხადებაში მოცემული Shp ფაილების გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო სანაყაროს ტერიტორია კვლავ ხვდება მდ. ნატანების წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში (მდ. ნატანებიდან 10 მეტრში).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო